

შპს „შუხმან ვაინს ჯორჯია“

ფინანსური და მმართველობის ანგარიშგებები
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური ანგარიშგება

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	1
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	2
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	3
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება.....	4

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. კორპორატიული ინფორმაცია.....	5
2. მომზადების საფუძველი.....	5
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....	6
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები.....	10
5. ამონაგები რეალიზაციიდან და შემოსულობა მოსავლის აღებისას	11
6. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება.....	11
7. კომერციული ხარჯები	12
8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები.....	13
9. სხვა საოპერაციო შემოსავალი	13
10. საპროცენტო ხარჯები	13
11. ვალუტის გადაფასება	14
12. ძირითადი საშუალებები	15
13. ბიოლოგიური აქტივები	16
14. გაცემული სესხები.....	16
15. სასაქონლო მატერიალური მარაგები	17
16. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	17
17. გადასახადები	17
18. ფული და ფულის ექვივალენტები	18
19. საწესდებო კაპიტალი და გაუნაწილებელი მოგება	18
20. მიღებული სესხები.....	18
21. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	19
22. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან.....	19
23. პირობითი ვალდებულებები.....	20
24. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები.....	20

მმართველობის ანგარიშგება

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ	22
2. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები.....	23
3. სუბიექტის განვითარების გეგმები	24
4. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა	24
5. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ	24
6. წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები.....	25
7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები	25

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „შუხმან ვაინს ჯორჯია“-ს ხელმძღვანელობას და მეწილეებს

პირობითი მოსაზრება

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ ნაწილში აღწერილი საკითხის ეფექტის გარდა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს „შუხმან ვაინს ჯორჯია“ ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის შედეგებს ამ თარიღით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის, მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის მოქმედი ფინანსური ანგარიშგების მომზადების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების ელემენტები რისი აუდიტიც ჩავატარეთ:

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს:

- ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
- მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას იმ საანგარიშგებო წლისთვის რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს;
- საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას იმ საანგარიშგებო წლისთვის რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს;
- ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებას იმ საანგარიშგებო წლისთვის რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს; და
- ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებს მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვასა და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

კომპანიის შიდა კონტროლის სისტემა და სააღრიცხვო ჩანაწერები ვერ უზრუნველყოფს მოძრავი ქონების მიკვლევადობას და იდენტიფიცირებადობას. შედეგად, ჩვენ ვერ შევძელით მოგვეპოვებინა საკმარისი და აუცილებელი მტკიცებულება რათა დავრწმუნებულიყავით მიწის, შენობა-ნაგებობების, სპეციალური ავზების და სატრანსპორტო საშუალებების გარდა სხვა ჯგუფებში წარდგენილი ძირითადი საშუალებების რაოდენობრივ სიზუსტესა და არსებობაში. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ამ ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება შეადგენს 1,375 ათას ლარს. შედეგად, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა წარდგენილ ძირითად საშუალებებთან მიმართებაში.

კომპანიამ ვერ მოგვაწოდა საკმარისი და შესაფერისი დოკუმენტაცია ძირითადი საშუალებების ნაწილის ისტორიულ ღირებულებასთან დაკავშირებით. ჩვენ ვერ შევძელით მიგვეღო მტკიცებულებები ალტერნატიული აუდიტორული პროცედურების ჩატარებით 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული ძირითადი საშუალებების ისტორიულ ღირებულებაზე, რომელთა საბალანსო ღირებულება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შეადგენს შესაბამისად 422 და 462 ლარს. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ ძირითადი საშუალებების ღირებულებასთან დაკავშირებით.

აუდიტი ჩავატარეთ „აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების“ (ასს-ები) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობები დამატებით აღწერილია წინამდებარე ანგარიშში: აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე. ჩვენ ვართ კომპანიასგან დამოუკიდებლები, როგორც ამას ითვალისწინებს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული კოდექსი პროფესიონალი ბუღალტრებისათვის (IESBA-ის კოდექსი). შევასრულეთ IESBA-ს კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

ჩვენ გვჯერა, რომ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები არის საკმარისი და სათანადო პირობითი მოსაზრების გამოსახატად.

სხვა ინფორმაცია

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სხვა ინფორმაციის მომზადებაზე. სხვა ინფორმაცია (წარმოდგენილი 21-26 გვერდებზე) მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას (საქმიანობის მიმოხილვას), მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებას და ჩვენს მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ, მმართველობის ანგარიშგებას და განვიხილოთ, არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

ამასთან, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით მოგვეთხოვება მოსაზრების გამოთქმა იმის თაობაზე, „მმართველობის ანგარიშგების“ გარკვეული ნაწილები შეესაბამება თუ არა შესაფერის მარეგულირებელ-ნორმატიულ აქტებს და აგრეთვე იმის დადგენა, „მმართველობის ანგარიშგება“ შეიცავს თუ არა ინფორმაციას, რომელიც მოითხოვება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ მმართველობის ანგარიშგებაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

აუდიტის მსვლელობისას შესრულებული სამუშაოს შესაბამისად, ჩვენი აზრით, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- მმართველობის ანგარიშგებაში მოცემული ინფორმაცია იმ საანგარიშგებო წლის შესახებ, რომლის ფინანსური ანგარიშგებაც წარმოდგენილია, მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების თანმიმდევრულად; და
- მმართველობის ანგარიშგება მოიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია შესაფერის მარეგულირებელ ნორმებთან.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, მსს ფასს-ის მოთხოვნების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ხელმძღვანელობა ვალდებულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას შეაფასოს, შეუძლია თუ არა კომპანიას განაგრძოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ და საჭიროების შემთხვევაში, პასუხისმგებელია კომპანიის ფუნქციონირებადობასთან და აღრიცხვის საფუძვლად ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხების გამჭვლეცაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კომპანიას ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან ოპერაციების შეწყვეტა, ან მას არა აქვს აღნიშნულის განხორციელების გარდა სხვა რეალური ალტერნატივა.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის ანგარიში, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით, ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას დაეყრდნობიან.

ასს-ს შესაბამისი აუდიტის მსვლელობისას, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ამასთან ჩვენ:

- ვახდენთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და შესაბამისია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების არგამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, დამახინჯებას ან შიდა კონტროლის მექანიზმების უგულვებელყოფას;
- ვსწავლობთ აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავგეგმოთ გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებულ სააღრიცხვო პოლიტიკების შესაბამისობას და კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული სააღრიცხვო შეფასებების და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;
- გამოგვაქვს დასკვნა კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებულ საქმიანობის უწყვეტობის დაშვების მიზანშეწონილობაზე, ასევე მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით უზუსტობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის უნარი. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით განუსაზღვრელობას, მოგვეთხოვება, რომ დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამის ახსნა-განმარტებით შენიშვნაზე ან, ამგვარი ახსნა-განმარტებითი შენიშვნის არაადეკვატურობის შემთხვევაში, მოვახდინოთ დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნა ეფუძნება დასკვნის გაცემის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა გამოიწვიოს კომპანიის, როგორც უწყვეტი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და ასევე იმას, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას;

სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს დაგეგმილი აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტორული შემოწმებით გამოვლენილი მნიშვნელოვანი ფაქტების შესახებ, მათ შორის აუდიტორის მიერ გამოვლენილი შიდა კონტროლის ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაკლოვანების შესახებ.

შპს „ეკოვის ეი-თი-ეი ფინანსები“-ს სახელით (რეგ #SARAS-F-344896)

ივანე კუტიბაშვილი (რეგ #SARAS-A-629166)

30 სექტემბერი, 2021

თბილისი, საქართველო.



სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს დაგეგმილი აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტორული შემოწმებით გამოვლენილი მნიშვნელოვანი ფაქტების შესახებ, მათ შორის აუდიტორის მიერ გამოვლენილი შიდა კონტროლის ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაკლოვანების შესახებ.

შპს „ეკოვის-ეი-თი-ეი ფინანსები“-ს სახელით (რეგ #SARAS-F-344896)



ივანე კუტიბაშვილი (რეგ #SARAS-A-629166)

30 სექტემბერი, 2021

თბილისი, საქართველო.

შპს „შუხმან ვაინს ჯორჯია“

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2020	2019
ამონაგები რეალიზაციიდან	5	7,104	9,008
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	6	(4,286)	(5,790)
საერთო მოგება		2,818	3,218
მიღებული მოსავლის სამართლიანი ღირებულება	5	(162)	79
შემცირებული მოყვანის დანახარჯებით			
კომერციული ხარჯები	7	(686)	(1,133)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	8	(1,879)	(1,880)
სხვა საოპერაციო ხარჯები		(100)	(62)
სხვა საოპერაციო შემოსავალი	9	451	49
საოპერაციო მოგება		442	271
საპროცენტო შემოსავალი		28	29
საპროცენტო ხარჯი	10	(199)	(195)
ვალუტის გადაფასება	11	(173)	(41)
მოგება გადასახადების გადახდამდე		98	64
მოგების გადასახადი		-	-
წლის სრული შემოსავალი		98	64

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2021 წლის 30 სექტემბერს:

ნინო აბრამიშვილი
დირექტორი

შპს „შუხმან ვაინს ჯორჯია“

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2020	2019
ამონაგები რეალიზაციიდან	5	7,104	9,008
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	6	(4,286)	(5,790)
საერთო მოგება		2,818	3,218
მიღებული მოსავლის სამართლიანი ღირებულება	5	(162)	79
შემცირებული მოგების დანახარჯებით			
კომერციული ხარჯები	7	(686)	(1,133)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	8	(1,879)	(1,880)
სხვა საოპერაციო ხარჯები		(100)	(62)
სხვა საოპერაციო შემოსავალი	9	451	49
საოპერაციო მოგება		442	271
საპროცენტო შემოსავალი		28	29
საპროცენტო ხარჯი	10	(199)	(195)
ვალუტის გადაფასება	11	(173)	(41)
მოგება გადასახადების გადახდამდე		98	64
მოგების გადასახადი		-	-
წლის სრული შემოსავალი		98	64

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2021 წლის 30 სექტემბერს:



ნინო აბრამიშვილი
დირექტორი

შპს „შუხმან ვაინს ჯორჯია“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	12	8,551	8,890
ბიოლოგიური აქტივები	13	1,986	1,795
არამატერიალური აქტივები		14	16
გაცემული სესხები	14	116	103
სულ გრძელვადიანი აქტივები		10,667	10,804
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო მატერიალური მარაგები	15	3,592	3,635
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	16	2,248	1,640
გაცემული სესხების მიმდინარე ნაწილი	14	162	147
საგადასახადო აქტივი	17	-	93
ფული და ფულის ექვივალენტები	18	189	59
სულ მიმდინარე აქტივები		6,191	5,574
სულ აქტივები		16,858	16,378
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	19	6,563	6,563
გაუნაწილებელი მოგება	19	3,505	3,407
სულ კაპიტალი		10,068	9,970
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	20	843	1,590
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		843	1,590
მიმდინარე ვალდებულებები			
საგადასახადო ვალდებულება	17	170	-
გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი	20	3,333	2,243
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	21	2,444	2,575
სულ მიმდინარე ვალდებულებები		5,947	4,818
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		16,858	16,378

შპს „შუხმან ვაინს ჯორჯია“

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
31 დეკემბერი 2018	6,563	3,343	9,906
მიმდინარე წლის სრული შემოსავალი	-	64	64
31 დეკემბერი 2019	6,563	3,407	9,970
მიმდინარე წლის სრული შემოსავალი	-	98	98
31 დეკემბერი 2020	6,563	3,505	10,068

შპს „შუხმან ვაინს ჯორჯია“

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	2020	2019
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:		
წლის სრული მოგება	98	64
არაფულადი კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	571	526
ფინანსური ხარჯი	199	195
ფინანსური შემოსავალი	(28)	(29)
სასაქონლო-მატერიალური მარაგების	35	-
გაუფასურების ანარიცხი		
ბიოლოგიური პროდუქციის სამართლიანი ღირებულების მოძრაობა	162	(79)
შემცირებული მოვლის დანახარჯებით		
უიმედო და საექვო ვალების რეზერვის ზრდა	344	181
საკურსო მოგება/(ზარალი)	173	(9)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები სამუშაო	1,554	849
კაპიტალში მომხდარ ცვლილებებამდე		
შემცირება/(ზრდა) საოპერაციო აქტივებში:		
ცვლილებები საქონელში	(385)	818
ცვლილებები დებიტორულ დავალიანებებში	(717)	39
ცვლილებები საგადასახადო აქტივებში	263	(99)
(შემცირება)/ზრდა საოპერაციო ვალდებულებებში:		
ცვლილებები კრედიტორულ დავალიანებებში	(379)	150
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები	336	1,757
დაბეგვრამდე და პროცენტებამდე		
გადახდილი პროცენტი	(121)	(133)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	215	1,624
საინვესტიციო აქტივობები		
ძირითადი საშუალების შესყიდვა	(173)	(1,634)
ბიოლოგიური აქტივების შესყიდვა	(17)	(813)
არამატერიალური აქტივების შესყიდვა	-	(7)
გაცემული სესხის უკან მიღება/(გაცემა)	-	98
საინვესტიციო აქტივობებში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები	(190)	(2,356)
ფინანსური აქტივობები		
სესხის დაფარვა	(1,429)	(767)
აღებული სესხი	1,573	1,434
მიღებული პროცენტი	-	23
საფინანსო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები	144	690
ფული და ფულის ეკვივალენტების წმინდა ზრდა/(შემცირება)	169	(42)
ფული და ფულადი ნაკადები პერიოდის დასაწყისში	59	92
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი ფულსა და ფულის		
ეკვივალენტებში, წმინდა	(39)	9
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	189	59

5-20 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

1. კორპორატიული ინფორმაცია

შპს შუხმან ვაინს ჯორჯია (შემდგომში კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანია დაფუძნდა 2008 წლის იანვარში. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 205237518. 2009 წელს კომპანიამ შეირჩა შპს ღვინისა და ვენახების ქართული კარტელი-ვინოტერა.

ძირითადი საქმიანობა. შპს შუხმან ვაინს ჯორჯიას ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ღვინის და სხვა ალკოჰოლური სასმელების წარმოება, სასტუმრო და სარესტორნო საქმიანობა. კომპანია ღვინის წარმოებას ახორციელებს როგორც საკუთარ ვენახებიდან მიღებული მოსავლით, ასევე ახორციელებს ყურძნის შესყიდვას ადგილობრივ ბაზარზე.

საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, კომპანია ფლობს ბიოლოგიურ აქტივებს, ვენახებს სადაც გაშენებულია სხვადასხვა სახეობის ყურძნის ჯიშები. ასევე, კომპანიის მართვაში არის სასტუმრო კომპლექსი “THE SCHUCHMANN WINES CHÂTEAU“, კომპლექსის ნაწილს წარმოადგენს ბარ-რესტორანი, სადაც მომხმარებელს შეუძლია დააგემოვნოს ადგილობრივი წარმოების ღვინოები. კომპლექსი მომხმარებელს ასევე სთავაზობს შემდეგი სახის დამატებით მომსახურებებს: სპა, სამუშაო შეხვედრების და კონფერენციებისთვის მოწყობილი ოთახები, კულინარიურ მასტერ კლასები, სხვადასხვა გასართობ აქტივობები და სადღესასწაულო ღონისძიებები.

კომპანიაში საშუალოდ დასაქმებულია 104 თანამშრომელი.

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თელავის რაიონი, სოფელი კისისხევი.

კომპანიის მეწილეები: ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის კომპანიის მეწილეებს წარმოადგენდნენ:

- შპს ენ ეი გრუპი - 40.8%
- შპს შუხმან კაპიტალი - 39.2%
- ნინო აბრამიშვილი - 10%
- გიორგი დაქიშვილი - 10%

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში შეიცვალა კომპანიის სტრუქტურა, დეტალური ინფორმაცია მოცემულია მე-19 შენიშვნაში.

2. მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია ლარში და ღირებულებები დამრგვალებულია ათასებამდე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

შესაბამისობის განცხადება. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება შესაბამისობაშია მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტთან (შემდგომში მსს ფასს) და საქართველოს კანონთან „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსს ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომელიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველის მიზანშეწონილობის შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით.

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

საქართველოს ბიზნეს გარემო. კომპანია საქმიანობას საქართველოში ახორციელებს. საქართველოს განვითარებადი ეკონომიკის გარკვეული მახასიათებლები აქვს, მათ შორის შედარებით მაღალი ინფლაციის დონე და მაღალი საპროცენტო განაკვეთები. ქართული საგადასახადო კანონმდებლობა სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება და ხშირ ცვლილებებს განიცდის.

საქართველოს მომავალი ეკონომიკური განვითარება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებულ ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე. COVID-19 კორონავირუსის პანდემიამ კიდევ უფრო გაზარდა გაურკვეველობა ბიზნეს გარემოში.

2020 წლის პირველ თვეებში ჩინეთში წარმოშობილი ახალი კორონავირუსით გამოწვეული დაავადების, COVID-19, გავრცელება დაიწყო გლობალურად, რაც აფერხებს ბიზნესსა და ეკონომიკურ აქტივობას. 2020 წლის მარტში „ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ“ მას პანდემიის სტატუსი მიანიჭა. ვირუსის გავრცელებამ მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა მოახდინა ეკონომიკურ აქტივობაზე მსოფლიო მასშტაბით.

2020 წლის მარტში მსოფლიო მასშტაბით მთავრობების უმეტესობამ (მათ შორის საქართველოშიც) დააწესეს სხვადასხვა სახის შეზღუდვები ვირუსის გავრცელების თავიდან ასაცილებლად. უმეტესწილად ეს იყო კარანტინის სახის შეზღუდვები, საზოგადოებრივი და კერძო ტრანსპორტირების შეზღუდვა, გარკვეულ ქვეყნებს შორის საჰაერო მიმოსვლის შეზღუდვა, საჯარო დაწესებულებების ფუნქციონირების შეზღუდვა, საჯარო სივრცეების უმეტესობის დახურვა.

ხელმძღვანელობას არ აქვს საშუალება ზუსტად იწინასწარმეტყველოს მოვლენათა ყველა შესაძლო განვითარება, რომელსაც შეიძლება გავლენა ჰქონდეს საქართველოს ეკონომიკაზე და შესაბამისად კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ის მიმართავს ყველა საჭირო ღონისძიებას კომპანიის ბიზნესის მდგრადობისა და განვითარების მხარდასაჭერად.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტა. ლარი არის შუხმან ვაინს ჯორჯიას მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2020 და 2019 წლის წლის 31 დეკემბრის უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
2020 წლის 31 დეკემბერი	3.2766	4.0233
2019 წლის 31 დეკემბერი	2.8677	3.2095

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ბანკებში არსებულ დეპოზიტებს და სხვა მოკლევადიან მაღალლიკვიდურ ინვესტიციებს სამ თვემდე ვადით. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

საპენსიო შენატანები. 2018 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ, რომლიც ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან. საპენსიო რეფორმის მიხედვით, სისტემაში ჩართული დასაქმებული პირის მხრიდან სახელმწიფო ბიუჯეტში განხორციელდებოდა 2%-ის გადახდა, აღნიშნული ნაწილი იფარება თანამშრომლის ხელფასიდან და კომპანიას ეს ნაწილი დამატებით ხარჯად არ ეკისრება. აღნიშნულის

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

პარალელურად დამსაქმებელი თავის მხრივ, დამატებით 2%-ს რიცხავს, რომელიც ხარჯად აღიარდება ხელფასის ხარჯის დარიცხვასთან ერთად და წარმოდგენილია ადმინისტრაციულ ხარჯებში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის ან მიწოდებული საქონლის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივები.

სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია გარიგების ფასით, შემდგომში შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების ანარიცხის გამოკლებით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი იქმნება იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულებები იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს დავალიანების თანხის სრულად ამოღებას მოთხოვნების თავდაპირველი პირობების შესაბამისად.

ძირითადი საშუალებები.

- **აღიარება და შეფასება.** ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.
- **შემდგომი დანახარჯები.** შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო რეზერვების აღიარება წყდება. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია.
- **ცვეთა.** აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითადი საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ ამოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას.

მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
შენობა-ნაგებობები	10 დან 50
მანქანადანადგარები და აღჭურვილობა	5 დან 50
სპეციალური ავზები	10 დან 50
საოფისე ინვენტარი და ავეჯი	2 დან 15
რესტორნისა და სასტუმროს ვეჯი და ინვენტარი	2 დან 20
სატრანსპორტო საშუალებები	5 დან 15
სხვა აქტივები	5 დან 20

ბიოლოგიური აქტივები. კომპანიის ბიოლოგიური აქტივები მოიცავს ვენახებს, ვინაიდან ამ ბიოლოგიური აქტივების კატეგორიისთვის, რეალური ღირებულების ადვილად განსაზღვრა მიზანშეუწონელი დანახარჯების, ან ძალისხმევის გარეშე, შეუძლებელია კომპანია ბიოლოგიურ აქტივებს აფასებს თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

კომპანია ბიოლოგიური აქტივების ცვეთის კალკულაციისთვის იყენებს წრფივ მეთოდს.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

კომპანია ბიოლოგიური აქტივებიდან მიღებულ სოფლის მეურნეობის პროდუქტს აფასებს რეალურ ღირებულებას გამოკლებული გაყიდვისთვის საჭირო სავარაუდო დანახარჯებს, ნაყოფის მიღების მომენტში.

ბიოლოგიური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
ნაყოფის მომცემი ვენახები	18 - 30 წელი
სხვა ბიოლოგიური აქტივები	15 - 75 წელი

სასაქონლო-მატერიალური მარაგები. სასაქონლო-მატერიალური მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდგომი შეფასებისას ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველანაირ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად ნორმატიული დანაკარგების გათვალისწინებით. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი, საბაჟო გადასახადი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები ჩამოიწერება გაყიდული საქონლის თვითღირებულებით საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით.

ნეტო სარეალიზაციო ღირებულება გამოითვლება, როგორც ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში სავარაუდო გასაყიდ ფასს გამოკლებული დასრულების და რეალიზაციის ხარჯი.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. აქტივები, რომლებიც ექვემდებარება გაუფასურებას და ამორტიზაციას შემოწმებულია გაუფასურებაზე იმ შემთხვევაში, როდესაც მოვლენები ან გარემოებების ცვლილებები მიუთითებს, რომ მიმდინარე საბალანსო ღირებულება შესაძლოა არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი აღიარებულია იმ თანხის ოდენობით, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად თანხას.

წინასწარი გადახდები. წინასწარი გადახდები გამოხატულია ფაქტური ღირებულებით, საექვო ვალებზე შექმნილი რეზერვის გამოკლებით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი, როდესაც წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც წინასწარი გადახდა დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც თავისთავად კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი თავდაპირველი აღიარებისას. აქტივების შემენისთვის წინასწარი გადახდა გარდაიქმნება აქტივის მიმდინარე საბალანსო ღირებულებად, მას შემდეგ, რაც კომპანიამ მიიღო კონტროლი აქტივებზე და სავარაუდოა, რომ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი გადაეცემა კომპანიას. თუ არსებობს საფუძველი, რომ წინასწარ გადახდილი თანხის სანაცვლოდ არ მოხდება საქონლის ან მომსახურების მიღება, ხდება ავანსი გადაფასება და საკუროს სხვაობა აისახება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

სესხები. სესხები თავდაპირველად აღიარებულია მომავალი გადახდების დისკონტირებული ღირებულებით, შემდგომი აღრიცხვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

გადასახადები. საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადი განაწილებულ მოგებაზე ირიცხება დივიდენდების სახით იმ პარტნიორებზე გადანაწილებულ მოგებაზე, რომლებიც ფიზიკური ან არარეზიდენტი პირები არიან საქართველოში, წმინდა განაწილების 15/85-ზე განაკვეთით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის მფლობელებისთვის დივიდენდის განაწილებასთან

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

დაკავშირებით დაკავებული გადასახადი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული გარიგებების დაბეგვრას, რომლებიც ითვლება პირობითი მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და მოგებაზარალის ანგარიშგების ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ნაწილში აისახება, როგორც გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა.

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები. კომპანიის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები რომელიც ექვემდებარება დღ-ით დაბეგვრას ან შესაძლებელია დღ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღ-ით შემცირებული ღირებულებით.

კაპიტალი. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

ამონაგების აღიარება. ამონაგები ფასდება მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს მიწოდებულ საქონელზე/მომსახურებაზე შეთანხმებული კომპენსაციის თანხას. კომპანია აღიარებს ამონაგებს, როდესაც ამონაგების ოდენობა შეიძლება საიმედოდ შეფასდეს და როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს. როდესაც ბარტერული ტრანზაქციით მიღებული საქონლის რეალური ღირებულება ობიექტურად არ არის შეფასებული, ამონაგები განისაზღვრება მიწოდებული საქონლის ან მომსახურების რეალური ღირებულებით.

- **ამონაგები ალკოჰოლური სასმელების რეალიზაციიდან.** კომპანია ამონაგებს იღებს პროდუქციის რეალიზაციით ადგილობრივ და უცხოურ ბაზარზე და პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებულ ამონაგებს აღიარებს მაშინ როცა ხდება მოცემულ საქონელთან დაკავშირებული კონტროლის მომხმარებლისთვის გადაცემა. კონტროლის გადაცემა ძირითადად ხდება, როცა საქონელი გადაეცემა მომხმარებელს. ექსპორტის შემთხვევაში კონტროლი შესაძლოა გადავიდეს მომხმარებელზე, როგორც გაგზავნის ისე მიღების ადგილზე, რომელიც განსაზღვრულია მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.
- **ამონაგები სასტუმროს და მასთან დაკავშირებული სხვა საქმიანობიდან.** კომპანია მომხმარებლებს აწვდის სასტუმროს მომსახურებას, საკვების და სასმელის მიწოდებას და მასთან დაკავშირებულ სხვა მომსახურებებს. ამონაგები რეგულარული მომსახურების მიწოდებიდან, როგორც არის სასტუმრო და მასთან დაკავშირებული სხვა მომსახურებები, იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც მოხდა მომსახურების მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყოველდღიური ღირებულების შესაბამისად.

ამონაგები საკვები და სასმელის მიწოდებიდან და სხვა ერთჯერადი მომსახურებიდან აღიარდება მაშინ, როდესაც კონტროლი მოცემულ აქტივზე გადაეცემა მომხმარებელს. გარიგების ღირებულების გადახდა ხდება დაუყოვნებლივ, როდესაც ხდება მომხმარებლის მიერ საქონლის შესყიდვა. აქედან გამომდინარე, ამონაგების აღიარება ხდება იმ დროს, როდესაც ფიზიკური მფლობელობა გადაეცემა მომხმარებელს ან ერთჯერადი მომსახურება არის მიწოდებული

სხვა შემოსავალი. სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ხარჯების აღიარება. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

დივიდენდები. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და იქვითება კაპიტალიდან იმ პერიოდში, როდესაც ხდება მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და მანამ, სანამ მოხდება ფინანსური ანგარიშგების გამოშვებაზე გადაწყვეტილების მიღება, აღიარებულია ბალანსის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით. კომპანია ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშგებო პერიოდში და ძირითადად ინახება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყიდულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში

ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში
- არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ

სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

- **სავაჭრო მოთხოვნის რეზერვი.** ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია აფასებს არსებობს თუ არა იმის ნიშანი რომ ფინანსური აქტივი გაუფასურებულია. თუ არსებობს საკმარისი ნიშნები გაუფასურებისთვის, აქტივის ღირებულება მცირდება რეზერვის საშუალებით და ზარალის თანხა აღიარდება როგორც მიმდინარე პერიოდის ხარჯი. გაუფასურების ჯგუფური შეფასების მიზნით დებიტორული დავალიანება დაჯგუფებულია მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების საფუძველზე. ასეთი მახასიათებლები შეესაბამება სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასებას ასეთი აქტივების ჯგუფებისთვის, თითოეულ კატეგორიას განსაზღვრული აქვს ამ კატეგორიისთვის სპეციფიურ გაუფასურების რეზერვი. მნიშვნელოვანი მოთხოვნები თავდაპირველად გაუფასურებაზე ფასდება ინდივიდუალურად. რეალური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს შეფასებისაგან და კომპანიის შეფასებები შეიძლება უარყოფითად ან დადებითად გადაიხედოს მომავალში, შედეგების ან მოლოდინების მიხედვით.

4. მნიშვნელოვანი შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

• **ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება.** აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

ბიოლოგიური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

• **საგადასახადო კანონმდებლობა.** მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ კომპანიას დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდის. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე.

• **მიღებული მოსავლის სამართლიანი ღირებულება.** კომპანიის მიერ აღებული მოსავალი შეფასებულია გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულებით მოსავლის აღების დროისთვის. ყურძნის სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება მოსავლის აღების მომენტში საბაზრო ფასებზე დაყრდნობით. ყურძნის საბაზრო ფასით შეფასებასისას კომპანია ხელმძღვანელობს საკუთარი გამოცდილებისა და დარგის ცოდნის საფუძველზე და პერიოდის განმავლობაში ყიდვის გარიგებების გათვალისწინებით.

5. ამონაგები რეალიზაციიდან და შემოსულობა მოსავლის აღებისას

	2020	2019
ამონაგები ღვინის რეალიზაციიდან	6,575	7,061
ამონაგები სარესტორნო მომსახურებიდან	270	947
ამონაგები სასტუმროს მომსახურებიდან	178	730
ამონაგები სპის მომსახურებიდან	24	189
სხვა	57	81
სულ	7,104	9,008

მიღებული მოსავლის სამართლიანი ღირებულება შემცირებული მოყვანის დანახარჯებით:

	2020	2019
სასაქონლო-მატერიალური მარაგების ნაწილში გადატანილი	348	573
აღებული მოსავლის (ყურძნის) სამართლიანი ღირებულება	(510)	(494)
მოსავლის მოყვანის დანახარჯები	(162)	79

მოსავლის სამართლიანი ღირებულების შემცირება გამოწვეულია 2020 წელს მიღებული შემცირებული მოსავლით, რაც უკავშირდება სეტყვას, გვალვას და სხვა არახელსაყრელ გარემო პირობებს.

6. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

	2020	2019
რეალიზებული ღვინის თვითღირებულება (ა)	(3,293)	(4,400)
რესტორნის პირდაპირ დანახარჯები (ბ)	(481)	(734)
სასტუმროს პირდაპირი დანახარჯები (გ)	(429)	(588)
სხვა	(83)	(68)
სულ	(4,286)	(5,790)

შპს „შუხმან ვაინს ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

6. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება (გაგრძელება)

(ა) რეალიზებული ღვინის თვითღირებულება

	2020	2019
წარმოების პირდაპირი დანახარჯები	(3,058)	(4,166)
ცვეთია	(235)	(234)
სულ	(3,293)	(4,400)

(ბ) რესტორნის პირდაპირ დანახარჯები

	2020	2019
სახელფასო ხარჯი	(219)	(272)
სამზარეულოს მარაგების ხარჯი	(115)	(222)
კომუნალური ხარჯები	(39)	(55)
ცვეთის ხარჯი	(39)	(40)
დასუფთავების ხარჯები	(17)	(31)
დეგუსტაციის ხარჯი	(16)	(90)
სხვა	(36)	(24)
სულ	(481)	(734)

(გ) სასტუმროს პირდაპირი დანახარჯები

	2020	2019
სახელფასო ხარჯი	(219)	(309)
ცვეთის ხარჯი	(125)	(100)
კომუნალური ხარჯები	(39)	(55)
კვების ხარჯი	(21)	(78)
დასუფთავების ხარჯები	(17)	(31)
სხვა	(8)	(15)
სულ	(429)	(588)

7. კომერციული ხარჯები

	2020	2019
ხელფასები	(299)	(300)
საშუამავლო ხარჯი	(126)	(237)
ტრანსპორტირების ხარჯი	(116)	(174)
რეკლამის ხარჯი	(70)	(180)
ცვეთა და ამორტიზაცია	(17)	(15)
ფრენჩაიზის ხარჯი	(16)	(60)
ექსკლუზივის ხარჯი	(13)	(66)
გამოფენის ხარჯი	-	(58)
სხვა ხარჯები	(29)	(43)
სულ	(686)	(1,133)

შპს „შუხმან ვაინს ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2020	2019
ხელფასები	(830)	(732)
ანარიცხები საეჭვო და უიმედო მოთხოვნებზე	(344)	(183)
პროფესიული მომსახურების ხარჯები	(177)	(190)
გადასახადები	(111)	(141)
ცვეთა და ამორტიზაცია	(85)	(79)
დაზღვევა	(71)	(71)
იჯარის ხარჯი	(45)	(38)
საწვავის ხარჯი	(40)	(48)
ბანკის მომსახურების ხარჯი	(18)	(42)
კომუნალური ხარჯები	(14)	(16)
საპენსიოს ხარჯი	(10)	(30)
ტრანსპორტირების ხარჯი	(8)	(31)
მივლინების ხარჯები	(1)	(41)
სხვა	(125)	(238)
სულ	(1,879)	(1,880)

9. სხვა საოპერაციო შემოსავალი

	2020	2019
სადაზღვევო შემთხვევებიდან მიღებული კომპენსაცია	265	-
სახელმწიფოსგან მიღებული დახმარება	104	-
სხვა	82	49
სულ	451	49

სადაზღვევო შემთხვევებიდან მიღებული კომპენსაცია წარმოადგენს ვენახის დასეტყვის გამო მიღებულ ანაზღაურებას სადაზღვევოდან.

2020 წელს, სახელმწიფომ, კოვიდ პანდემიის ბიზნესზე ზეწოლის შესამცირებლად, კომპანიებს მისცა შეღავათი საშემოსავლო გადასახადზე, რაც წარმოადგენს სახელმწიფოსგან მიღებულ დახმარებას.

10. საპროცენტო ხარჯები

	2020	2019
საპროცენტო ხარჯი ადგილობრივი ფინანსური ინსტიტუტიდან მიღებულ სესხებზე	(127)	(138)
საპროცენტო ხარჯი დაკავშირებული ფიზიკური პირისგან მიღებულ სესხებზე	(62)	(57)
საპროცენტო ხარჯი დაკავშირებული იურდიული პირისგან მიღებულ სესხებზე	(10)	-
სულ	(199)	(195)

შპს „შუხმან ვაინს ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

11. ვალუტის გადაფასება

	2020	2019
ნაღდი ფული და ფულის ეკვივალენტები	(39)	(29)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(248)	(92)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	235	130
გრძელვადიანი სესხები	(121)	(50)
სულ	(173)	(41)

შპს „შუხმან ვაინს ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

12. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ისტორიული ღირებულების	მიწა	შენობა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები და აღჭურვილობა	სპეციალური ავზები	საოფისე ინვენტარი და ავეჯი	რესტორნისა და სასტუმროს ავეჯი და ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა აქტივები	სულ
31 დეკემბერი 2018	753	5,276	1,725	1,363	308	761	281	291	10,758
შემოსვლა	64	1,084	26	-	14	45	57	64	1,354
გასვლა	-	-	-	-	-	-	-	(10)	(10)
31 დეკემბერი 2019	817	6,360	1,751	1,363	322	806	338	345	12,102
შემოსვლა	-	131	54	17	10	2	19	-	233
გასვლა	-	-	(12)	-	-	-	-	(52)	(64)
31 დეკემბერი 2020	817	6,491	1,793	1,380	332	808	357	293	12,271
დაგროვილი ცვეთა									
31 დეკემბერი 2018	-	(882)	(859)	(308)	(132)	(371)	(134)	(56)	(2,742)
ცვეთა	-	(182)	(105)	(41)	(29)	(72)	(26)	(15)	(470)
გასვლა	-	-	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2019	-	(1,064)	(964)	(349)	(161)	(443)	(160)	(71)	(3,212)
ცვეთა	-	(222)	(105)	(41)	(29)	(71)	(29)	(15)	(512)
გასვლა	-	-	4	-	-	-	-	-	4
31 დეკემბერი 2020	-	(1,286)	(1,065)	(390)	(190)	(514)	(189)	(86)	(3,720)
საბალანსო ღირებულება									
31 დეკემბერი 2019	817	5,296	787	1,014	161	363	178	274	8,890
31 დეკემბერი 2020	817	5,205	728	990	142	294	168	207	8,551

საბანკო ვალდებულებების უზრუნველყოფაში ჩადებულია კომპანიის საკუთრებაში არსებული მიწა, შენობა-ნაგებობები და მანქანა-დანადგარები.

შპს „შუხმან ვაინს ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

13. ბიოლოგიური აქტივები

ისტორიული ღირებულება	ნაყოფის მომცემი ვენახები	ზრდადაუსრულებელი ვენახები	სხვა აქტივები	სულ ბიოლოგიური აქტივები
31 დეკემბერი 2018	1,337	217	11	1,565
შემოსვლა	-	810	3	813
გასვლა/გადატანა	137	(137)	-	-
31 დეკემბერი 2019	1,474	890	14	2,378
შემოსვლა	-	248	-	248
გასვლა/გადატანა	16	(16)	-	-
31 დეკემბერი 2020	1,490	1,122	14	2,626
დაგროვილი ცვეთა				
31 დეკემბერი 2018	(525)	-	(3)	(528)
ცვეთის ხარჯი	(55)	-	-	(55)
გასვლა	-	-	-	-
31 დეკემბერი 2019	(580)	-	(3)	(583)
ცვეთის ხარჯი	(56)	-	(1)	(57)
გასვლა	-	-	-	-
31 დეკემბერი 2020	(636)	-	(4)	(640)
საბალანსო ღირებულება				
31 დეკემბერი 2019	894	890	11	1,795
31 დეკემბერი 2020	854	1,122	10	1,986

14. გაცემული სესხები

მსესხებელი	ვალუტა	განაკვეთი	დაფარვის ვადა	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
დაკავშირებულ იურიდიულ პირზე	ლარი	13%	2028	116	103
გაცემული სესხი					
სულ გრძელვადიანი სესხები				116	103

გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი

მსესხებელი	ვალუტა	განაკვეთი	დაფარვის ვადა	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
დაკავშირებულ იურიდიულ პირზე	ლარი	11%	მოთხოვნამდე	162	147
გაცემული სესხი					
სულ მოკლევადიანი სესხები				162	147

15. სასაქონლო მატერიალური მარაგები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
დაუმთავრებელი წარმოება	2,789	2,804
ნედლეული და წარმოების დამხმარე მასალა	619	645
მზა პროდუქცია	227	131
სხვა მარაგები	34	55
სულ სასაქონლო მატერიალური მარაგები	3,669	3,635
მარაგების გაუფასურების რეზერვი	(77)	-
სასაქონლო მატერიალური მარაგები, ნეტო	3,592	3,635

16. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
სავაჭრო მოთხოვნები	2,748	1,901
მოთხოვნები დაკავშირებულ მხარეზე	448	367
გაცემული ავანსები	20	82
სხვა	3	3
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,219	2,353
ანარიცხი უიმედო და საეჭვო მოთხოვნებზე	(971)	(713)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, ნეტო	2,248	1,640

უიმედო და საეჭვო მოთხოვნებზე შექმნილი რეზერვის მოძრაობა:

	2020	2019
ნაშთი წლის დასაწყისში	(713)	(672)
მოგება-ზარალი ალიარებული რეზერვი სავაჭრო მოთხოვნებიდან	(341)	(182)
მოგება-ზარალი ალიარებული რეზერვი ავანსებიდან	(4)	(1)
პერიოდის განმავლობაში ჩამოწერილი მოთხოვნები	87	142
ნაშთი წლის ბოლოს	(971)	(713)

17. გადასახადები

2016 წლის 1 იანვრიდან, საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილების შესაბამისად ყველა საგადასახადო ვალდებულება ირიცხება ერთიან სახაზინო ანგარიშზე/კოდზე, შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში, საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია ნეტო თანხით.

2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებები შევიდა მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, რომლებისთვისაც შემოღებულია ძალაში შესვლის განსხვავებული თარიღი. ახალი ნორმატიული აქტის თანახმად, მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, და არა მოგებას, რომელიც მიღებული იქნა არსებული ნორმატიული აქტების შესაბამისად. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. კომპანიებს უფლება აქვთ ჩაითვალონ 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით.

შპს „შუხმან ვაინს ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

18. ფული და ფულის ექვივალენტები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ფული ბანკში	188	53
ფული სალაროში	1	6
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	189	59

19. საწესდებო კაპიტალი და გაუნაწილებელი მოგება

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის ოდენობა გაწერილია წესდების მიხედვით და შეადგენს 6,563 ლარს. ინფორმაცია კომპანიის მეწილეების შესახებ მოცემულია პირველ შენიშვნაში.

2020 წლის დეკემბერში შეიცვალა კომპანიის დამფუძნებელთა სტრუქტურა და ანგარიშგების გამოცემის თარიღისათვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

მეწილე	2020	2019
შპს ენ ეი გრუპი	40.80%	-
შპს შუხმან კაპიტალი	39.20%	80%
ნინო აბრამიშვილი	10%	10%
გიორგი დაქიშვილი	10%	10%
	100%	100%

შპს შუხმან კაპიტალის 100%-იანი წილის მფლობელია ბურკჰარდ შუხმანის ფონდი (გერმანია), ხოლო შპს ენ ეი გრუპის 100%-იანი წილის მფლობელია ნინო აბრამიშვილი, შესაბამისად კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელი მხარეა ფიზიკური პირი ნინო აბრამიშვილი.

20. მიღებული სესხები

გრძელვადიანი სესხების

მიმდინარე ნაწილი

	ვალუტა	განაკვეთი	სესხის ტიპი/ვადიანობა	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
დაკავშირებული ფიზიკური პირებიდან	ლარი	4%	მოთხოვნამდე	1,477	1,429
მიღებული სესხი ადგილობრივი ფინანსური ინსტიტუტებიდან	დოლარი	12%-13%	2021	806	141
ნასესხები სახსრები ადგილობრივი ფინანსური ინსტიტუტებიდან	ლარი	12%-12.50%	2021	548	480
ნასესხები სახსრები დაკავშირებული ფიზიკური პირებიდან	ევრო	4%	მოთხოვნამდე	396	193
მიღებული სესხი იურდიული პირებისგან	ლარი	12%	მოთხოვნამდე	106	-
მიღებული სესხები					
სულ				3,333	2,243

შპს „შუხმან ვაინს ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

20. მიღებული სესხები (გაგრძელება)

გრძელვადიანი სესხი

	ვალუტა	განაკვეთი	დაფარვის თარი	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ადგილობრივი ფინანსური ინსტიტუტებიდან ნასესხები სახსრები	ლარი	12%-12.50%	2023-2024	843	1,205
ადგილობრივი ფინანსური ინსტიტუტებიდან ნასესხები სახსრები	დოლარი	12%-13%		-	385
სულ				843	1,590

აღებული სესხების მიზნობრიობას წარმოადგენდა ვენახის გაშენება. სესხის ხელშეკრულებით კომპანიას არ აუღია ვალდებულება დაეკმაყოფილებინა გარკვეული ფინანსური კოეფიციენტები. კომპანიამ 2020 წელს ადგილობრივი ფინანსური ინსტიტუტებიდან აღებული გრძელვადიანი სესხი 385 ლარის (სესხის ვალუტა დოლარი) ოდენობით გადაფარა ახალი ლარში გაცემული სესხებით.

21. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ვალდებულებები მოწოდებიდან და მომსახურებიდან	1,505	1,838
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	483	411
დაკავშირებულ მხარეებთან		
გადასახდელი ხელფასები	239	184
მიღებული ავანსები	181	119
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	36	23
სულ	2,444	2,575

22. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ფინანსური ანგარიშგების არე	ურთიერთობა	2020	2019
შემოსავალი მომსახურებიდან	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	186	194
საიჯარო ხარჯი	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	22	6
საპროცენტო შემოსავალი	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	21	24
საპროცენტო ხარჯი	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	(72)	(59)

შპს „შუხმან ვაინს ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

22. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან

ფინანსური ანგარიშგების არე	ურთიერთობა	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
სავაჭრო მოთხოვნა	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	448	367
სავაჭრო ვალდებულება	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	(483)	(411)
გაცემული სესხები	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	278	250
მიღებული სესხები	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	(1,873)	(1,622)

სავაჭრო ვალდებულების ცვლილება უკავშირდება საკურსო მოგება/ზარალის ცვლილებას 71 ლარის ოდენობით.

ოპერაციები მენეჯმენტთან და დამფუძნებლებთან

	2020	2019
უმაღლესი მმართველობითი რგოლის ხელფასები	494	459

23. პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები. დროდადრო, ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში, შეიძლება კომპანიის წინააღმდეგ პრეტენზიები იქნას წამოყენებული. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ არანაირი არსებითი დანაკარგი არ იქნება გამოწვეული რაიმე სასამართლო დავის შედეგად. აქედან გამომდინარე, ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის შექმნილი რეზერვი შესაბამის პირობით ვალდებულებებთან დაკავშირებით.

გადასახადები. საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. ასევე არსებობს საგადასახადო ორგანოების მიერ სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკა. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონმდებლობით მოთხოვნილი გადასახადები და დამატებითი რეზერვების შექმნა არ არის საჭირო.

24. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდიდან რეპორტის გამოცემის თარიღამდე კომპანიამ ყურძნის შესაძენად აიღო 320 ლარის ოდენობის სესხი.

ასევე 2021 წელს სეტყვის გამო მნიშვნელოვნად დაზარალდა კომპანიის ვენახები. აღნიშნული ზარალი 20 ლარის მოცულობით ანაზღაურებული იქნა სადაზღვევოს მიერ.

შპს „შუხმან ვაინს ჯორჯია“

მმართველობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შპს „შუხმან ვაინს ჯორჯია“

მმართველობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს შუხმან ვაინს ჯორჯია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსებულია და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. შპს „შუხმან ვაინს ჯორჯია“ დაფუძნდა და საქმიანობა დაიწყო 2008 წელს.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარებით შპს „შუხმან ვაინს ჯორჯიას“ მესაკუთრეები არიან:

- შპს ენ ეი გრუპი - 40.8%
- შპს შუხმან კაპიტალი - 39.2%
- ნინო აბრამიშვილი - 10%
- გიორგი დაქიშვილი - 10%

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარებით შპს „შუხმან ვაინს ჯორჯიას“ დირექტორი იყო ნინო აბრამიშვილი.

კომპანიის საქმიანობის სახე და ძირითადი სამოქმედო ბაზრები:

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს:

- ღვინის წარმოება და რეალიზაცია როგორც ადგილობრივ, ისე უცხოურ ბაზრებზე;
- სასტუმრო მომსახურების გაწევა;
- სარესტორნო მომსახურების გაწევა;

კომპანიის შემოსავლები ძირითადი მიმართულებების მიხედვით არის შემდეგი:

	2020	2019
ამონაგები ღვინის რეალიზაციიდან	6,575	7,061
ამონაგები სარესტორნო მომსახურებიდან	270	947
ამონაგები სასტუმროს მომსახურებიდან	178	730
ამონაგები სპის მომსახურებიდან	24	189
სხვა	57	81
სულ	7,104	9,008

არსებული პროდუქტები და მომსახურება, ბიზნეს პროცესები და სადისტრიბუციო მეთოდები.

ამჟამად კომპანია 15-ზე მეტი დასახელების ვაზის ჯიშისგან წარმოებულ პროდუქციას, კერძოდ: ღვინოს, ჭაჭას და ცქრიალა ღვინოს ამზადებს. კომპანიამ ასევე გამოუშვა, სრულიად ახალი ხაზის პროდუქციაც, კერძოდ ყურძნის წიპწის ზეთი.

კომპანიის გაყიდვების დიდი ნაწილი მოდის ღვინის რეალიზაციაზე, საიდანაც 97% წარმოადგენს ექსპორტზე რეალიზაციას, ხოლო 3% ადგილობრივ ბაზარზე რეალიზაციას. კომპანია პროდუქციას 20-ზე მეტ ქვეყანაში ყიდის. შუხმანის ღვინოები ევროპის, აზიისა და აშშ-ს ბაზრებზეა წარმოდგენილი.

ადგილობრივ ბაზარზე კომპანია ღვინის რეალიზაციას ახორციელებს საკუთარი სადისტრიბუციო ქსელის საშუალებით.


კომპანია მომსახურებას ეწევა სასტუმრო და სარესტორნო მიმართულებით, საიდანაც გენერირებული ამონაგები შეადგენს სრული ამონაგების 6%-ს.

კომპანიის სტრუქტურა.

კომპანიის გენერალური დირექტორი 2020 წლის 1 იანვრიდან ანგარიშგების მომზადებამდე პერიოდში იყო ნინო აბრამიშვილი. წესდების მიხედვით სამეთვალყურეო საბჭო ნიშნავს და ნებისმიერ დროს გამოიწვევს დირექტორებს, ასევე მათთან დებს და წყვეტს ხელშეკრულებებს.

2. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები**ფინანსური მაჩვენებლები**

2020 წლის შემოსავალმა შეადგინა 7,104 ლარი, კომპანიის შემოსავლები 2020 წელს წინა წელთან შედარებით შემცირდა 21%-ით. 2020 წელს მნიშვნელოვნად შემცირდა (75%-ით წინა წელთან შედარებით) სასტუმრო და სარესტორნე მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი, რაც უკავშირდება პანდემიის შედეგად ქვეყანაში დაწესებულ შეზღუდვებს.

**ძირითადი კოეფიციენტები:**

	2020	2019
მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი	1.04	1.16
მოგების მარჟა	40%	37%
უკუგება კაპიტალზე (ROCE)	0.59%	0.39%
სულ აქტივები	16,858	16,378
სულ შემოსავლები	7,104	9,008
დასაქმებულთა საშუალო მაჩვენებელი	104	156

არაფინანსური მაჩვენებლები

თანამშრომლები: კომპანიაში საერთო დასაქმებულების საშუალო რაოდენობა 2020 წელს შეადგენდა - (2019-229). კომპანიას აქვს კარგად განსაზღვრული დასაქმების პოლიტიკა და არჩევს მხოლოდ შესაბამისი კვალიფიკაციის, გამოცდილებისა და უნარების მქონე კანდიდატებს.

როგორც დამქირავებელი, პერსონალს სთავაზობს განვითარებაზე ორიენტირებულ მიდგომებს და მუდმივ საკვალიფიკაციო ტრენინგებს საიმისოდ, რომ პერსონალმა უზრუნველყოს საუკეთესო მომსახურება კლიენტებისთვის. განვითარებაზე ორიენტირებულ თანამშრომლებს ეძლევათ კარიერული წინსვლის და პროფესიული უნარების დახვეწის შესაძლებლობა, საქმიან სამუშაო გარემო და კონკურენტუნარიანი ხელფასი.

ძირითადი მომწოდებლები და კლიენტები

კომპანია მნიშვნელოვნად არ არის დამოკიდებული ერთ მომწოდებელზე. საოპერაციო ხარჯების, გაყიდვის გეგმების და სხვა სტრატეგიული საკითხების კუთხით მენეჯმენტს აქვს მუდმივი კავშირი როგორც ადგილობრივ, ისე

2. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები (გაგრძელება)

უცხოურ მომწოდებლებთან და რეგულარულად ხდება შედეგების შეფასება და მომავალი სამოქმედო გეგმების შეთანხმება.

კომპანიის ძირითად კლიენტებს წარმოადგენენ არარეზიდენტები, რომლებიც უზრუნველყოფენ პროდუქციის ექსპორტს უცხოურ ბაზრებზე.

ურთიერთობა სახელმწიფო უწყებებთან: როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კომპანია დაარსებულია და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. მისი საქმიანობა რეგულირდება შემდეგი მარეგულირებელი ნორმებით:

- საქართველოს კანონი „ვაზისა და ღვინის შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2014 წლის 03 იანვრის N3 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტის - ყურძნის ღვინოების წარმოების ზოგადი წესების დამტკიცების თაობაზე“;
- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2018 წლის 19 თებერვლის ბრძანება N2-82 “ ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლიანი სასმელისა და ყურძნისეული წარმოშობის სპირტის სერტიფიცირების წესის დამტკიცების თაობაზე“;
- საქართველოს საგადასახადო კოდექსი;
- სხვა ნორმატიული აქტები.

3. სუბიექტის განვითარების გეგმები

კომპანიის მთავარ მიზანს წარმოადგენს ოპერაციების და რენტაბელობის გაძლიერება, რა თქმა უნდა ასევე ბაზარზე საკუთარი პოზიციის გამყარება და მუდმივი ზრუნვა მომსახურების ხარისხის ამაღლებაზე. ამავდროულად იმის ხაზგასმაც, რომ მომხმარებლებს იგი სთავაზობს სანდო მწარმოებლის მიერ დამზადებულ ფართო ასორტიმენტის პროდუქციას, რომელსაც ბაზარზე გააჩნია მაღალი ცნობადობა.

კომპანიის განვითარების ძირითად მიმართულებებს წარმოადგენს:

- სარეალიზაციო პროდუქციის ასორტიმენტის გაფართოვება
- სარეალიზაციო ბაზრების დივერსიფიცირება და გაფართოვება.

კომპანია ასორტიმენტის გაფართოვებას გეგმავს საკუთარი წარმოების ვენახიდან მიღებული მოსავლით და აღნიშნული მიზნით აგრძელებს ვაზების გაშენებას. 2020 წლის ბოლოს მის საკუთრებაშია - 3ა-ზე გაშენებული ვენახი. კომპანიის მიზანია წარმოება სრულად უზრუნველყოს საკუთარი ვენახიდან მიღებული მოსავლით. ყურძნის საკუთარი წარმოების პირობებში კომპანია სრულად გააკონტროლებს აგროწესების დაცვას, რაც საბოლოოდ აისახება წარმოებული ღვინის ხარისხში.

კომპანიის ხელმძღვანელობა სარეალიზაციო ბაზრების დივერსიფიცირებას გეგმავს ახალი საექსპორტო ბაზრების მოძიებით, არხების გაუმჯობესებით და მიზნობრივი მარკეტინგით ცნობადობის კიდევ უფრო ამაღლებით.

4. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

2020 წელს კომპანია არ იყო ჩართული კვლევებში და მსგავს ღონისძიებებში.

5. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

2020 წელს არ მომხდარა კომპანიის მიერ საკუთარი აქციების შეძენა.

6. წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები.

წლიდან წლამდე დამდგარი მნიშვნელოვანი ცვლილებები:

ფინანსური ანგარიშგების არე	2020	2019	გადახრის ახსნა
ბიოლოგიური აქტივები	1,986	1,795	შენიშვნა 1
სესხები	4,176	3,833	შენიშვნა 2

შენიშვნა #1:

ბიოლოგიური აქტივების ზრდა დაკავშირებულია კომპანიის მიერ წლის განმავლობაში ახალი ვენახების გაშენებასთან. ბიოლოგიური აქტივზე კაპიტალიზებულია 2020 წელს გაშენებული ვენახზე გაწეული დანახარჯები, ხოლო შესაბამისი ინფრასტრუქტურა გაერთიანებულია ძირითადი საშუალებების მუხლში.

შენიშვნა #2:

2020 წელს სასესხო ვალდებულებების ზრდა გამოწვეულია კომპანიის მიერ ახალი საბანკო სესხის აღებით, რომლის მიზნობრიობას წარმოადგენდა ახალი ვენახების გაშენების დაფინანსება.

7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

საქართველოსთან დაკავშირებული მაკროეკონომიკური და პოლიტიკური რისკები:

კომპანია საქმიანობს საქართველოში და მისი ბრუნვის მნიშვნელოვანი ნაწილი მოდის საქართველოზე. შესაბამისად, საქმიანობის შედეგებზე, ზრდასა და განვითარებაზე საგრძნობლად მოქმედებს და მომავალშიც იმოქმედებს ქვეყნის ბიზნეს გარემო და პოლიტიკური ფაქტორები.

ქვემოთ ცხრილში მოცემულია ქვეყნის ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრები:

	2020	2019
მოსახლეობის რიცხოვნობა 31 დეკემბრისთვის	3,729	3,723.5
მშპ მიმდინარე ფასებში, მილიარდი აშშ დოლარი	15.9	17.7
მშპ ერთ სულზე (მიმდინარე ფასებში), აშშ დოლარი	4,275	4,763.50
მშპ-ის რეალური ზრდა, %	(6.2%)	5.1%
საშუალო წლიური ინფლაცია	5.2%	3.6%
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები FDI (მილიონი აშშ დოლარი)	616.9	1,267.7
უმუშევრობის დონე, %	18.5%	11.6%

საკრედიტო რისკი და მისი მართვის მექანიზმები

კომპანიას გააჩნია საკრედიტო რისკი, რომელიც წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ ზარალს მეორე მხარისათვის თავისი მოვალეობის შეუსრულებლობით. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის მიერ საქონლის/მომსახურების კრედიტით გაყიდვით და პარტნიორებთან სხვა ოპერაციებით, რაც წარმოქმნის ფინანსურ აქტივებს. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს.

საკრედიტო რისკების კონცენტრაცია.

კომპანიის საკრედიტო რისკები არ არის კონცენტრირებული ერთ რომელიმე კონტრაგენტზე, თუმცა არსებითად არის დამოკიდებული რამდენიმე მსხვილ კონტრაგენტზე. კომპანია მომხმარებლებს სთავაზობს როგორც კრედიტით გაყიდვებს ასევე საავანსო გადახდებს. შეთავაზებული პირობები დამოკიდებულია არსებულ რისკებზე და კომპანიის შესაბამის პოლიტიკაზე. კომპანიაში მოქმედი პრაქტიკით და სხვადასხვა შიდა ნორმატიული აქტებით შეთანხმებულია საკრედიტო ლიმიტების დაშვების და მართვის პოლიტიკა, რამაც უნდა უზრუნველყოს რისკების

7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები (გაგრძელება)

მართვა მისაღებ დონემდე ისე რომ შენარჩუნებული იყოს მოკლევადიანი და გრძელვადიანი ლიკვიდურობა და კომპანია დაცული იყოს არახელსაყრელი ეფექტისგან რისკების არაგონივრული კონცენტრირებით.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტის ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს, რომლის მიღებაც შესაძლებელია, რის მონიტორინგსაც რეგულარულად ახორციელებს. ამ მიდგომის გამოყენება არ უზრუნველყოფს ზარალის თავიდან აცილებას ამ ზღვრების მიღმა არსებული უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო ცვლილებების შემთხვევაში.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიას წარმოეშება რისკები გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო, რომელთა ეფექტი მოცემულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში. კომპანიის სავალუტო რისკი კონცენტრირებულია აშშ დოლარსა და ევროში რაც წარმოიქმნება ერთი მხრივ უცხოურ ვალუტაში მოზიდული რესურსებით და მეორეს მხრივ უცხოური კომპანიებიდან წარმოებული შესყიდვებით და განხორციელებული რეალიზაციებით.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებაზე. ყველა სესხის საპროცენტო განაკვეთი ფიქსირებულია და შესაბამისად კომპანია არ განიხილავს საპროცენტო განაკვეთის ცვლილებას მნიშვნელოვან რისკად.

მმართველობის ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2021 წლის 30 სექტემბერს:

ნინო აბრამიშვილი
დირექტორი

შპს „შუხმან ვაინს ჯორჯია“

მმართველობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები (გაგრძელება)

მართვა მისაღებ დონემდე ისე რომ შენარჩუნებული იყოს მოკლევადიანი და გრძელვადიანი ლიკვიდურობა და კომპანია დაცული იყოს არახელსაყრელი ეფექტისგან რისკების არაგონივრული კონცენტრირებით.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს, რომლის მიღებაც შესაძლებელია, რის მონიტორინგსაც რეგულარულად ახორციელებს. ამ მიდგომის გამოყენება არ უზრუნველყოფს ზარალის თავიდან აცილებას ამ ზღვრების მიღმა არსებული უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო ცვლილებების შემთხვევაში.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიას წარმოეშება რისკები გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო, რომელთა ეფექტი მოცემულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში. კომპანიის სავალუტო რისკი კონცენტრირებულია აშშ დოლარსა და ევროში რაც წარმოიქმნება ერთი მხრივ უცხოურ ვალუტაში მოხიდული რესურსებით და მეორეს მხრივ უცხოური კომპანიებიდან წარმოებული შესყიდვებით და განხორციელებული რეალიზაციებით.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებაზე. ყველა სესხის საპროცენტო განაკვეთი ფიქსირებულია და შესაბამისად კომპანია არ განიხილავს საპროცენტო განაკვეთის ცვლილებას მნიშვნელოვან რისკად.

მმართველობის ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2021 წლის 30 სექტემბერს:



ნინო აბრამიშვილი
დირექტორი